საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№130 (6356) 27 ოქტომბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ არჩევნებია, თქვენი გონიერებისა და სინდისის იმედია საქართველო!

ძვირფასო ამომრჩევლებო!

დღეს თითოეული ჭეშმარიტი ქართველი უჩვეულო, დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს, დგება უამი დიდი არჩევანისა, ხვალ, 28 ოქტომბერს ქართველი ხალხი მრავალპარტიულ არჩევნებში განახორციელებს თავის ნებას. ვიცით, ძვირფასო მკითხველო, ძვირფასო ამომრჩეველო, რა მღელვარე წუთები გაქვთ თქვენც და ჩვენც. საქმე ეხება ერის ბედის გადაწყვეტას, საქართველოს ისეთი პარლამენტის არჩევას, რომელიც წინ წარუძღვება მშობელ ხალხს, მიიყვანს მას ნანატრ თავისუფლებამდე, გადაწყვეტს უამრავ პრობლემას, ქართველი ხალხის უამრავ საჭირბოროტო საკითხს.

ამიტომ დიდი წინდახედულებით, დაფიქრებით, მშვიდ, ნორმალურ ვითარებაში, ახალი საარჩევნო კანონის მოთხოვნების სრული შესაბამისობით უნდა მივუდგეთ ამ საერო, პოლიტიკურ, საშვილიშვილო საქმეს—არჩევნებს. თითოეულმა ამომრჩეველმა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი გულისა და გონების კარნახით უნდა შეძლოს საკუთარი ნების გამოხატვა.

ჩვენთვის, ყველასთვის, ცნობილია არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების პოლიტიკური პლატფორმები და კრედო, თითოეული მათგანი შეტანილია ბიულეტენში. კიდევ ერთხელ კარგად დავფიქრდეთ—გამოვიჩინოთ ჩვეული სიბრძნე და გონიერება, რათა პარლამენტში ავირჩიოთ ღირსეულთა შორის ღირსეულები, ისეთი ერისკაცები, რომლებიც ქვეყანას, მამულს, მშობელ ხალხს უშურველად მისცემენ ყველაფერს, რაც კი აბადიათ, თუ საჭირო გახდა, თვით სიცოცხლესაც კი.

ძვირფასო ამომრჩევლებო! არამც და არამც არ მიუდგეთ არჩევნებს გულგრილად, ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ თქვენს მიერ კენჭის გათეთრება—არ გათეთრებით თითქოს არაფერი შეიცვლება. ყველა ვისაც, რომ იტყვიან საკუთარი პერანგის ზიდვა შეუძლია, ვინც ნაღდი ქართველია და მისთვის სულერთი არ არის ხვალინდელი საქართველოს ავ-კარგი (ამის უფლება კი არავის არ გვაქვს), უნდა გამოვცხადდეთ საარჩევნო უბნებში, საარჩევნო ყუთებთან და ხმა მივცეთ დეპუტატობის ჩვენს კანდიდატს.

რომ არჩევნები არაორგანიზებულად წარიმართოს, ღმერთმა არ ქნას და ჩაიშალოს, ეს იქნება ქართველი ხალხის ავტორიტეტის, კულტურის შელახვა და საუკუნო ლაქა საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე. და რაც მთავარია, ჩვენ თუ დროულად არ ავირჩიეთ უზენაესი საბჭო, პარლამენტი, კვლავაც გაგრძელდება ქაოსი, განუკითხაობა, ანარქია, დამნაშავეობა, ურთიერთშუღლი და სხვა ათასი სისაძაგლე.

მაშ ასე, ჯერი თქვენზეა ძვირფასო ამომრჩევლებო! საქართველო და მისი მომავალი თქვენს ხელთაა. ხმას ვაძლევთ რა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, ამით ხმას ვაძლევთ საქართველოს მომავალს, ჩვენი შვილების მომავალს, მათ უკეთეს ხვალეს, ხმას ვაძლევთ ჩვენს თავისუფლებასა და კეთილდღეობას.

კვლავ ვიმეორებთ: ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ!

...არ გავუმტყუნო იმედი კუთხეს

ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ შეიქმნა საზოგადოება „ლეჩხუმი", რომლისგან გევრ სასიკეთო საქმეს მოველით. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ლეჩხუმის" კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ანზორ გურჯანაძეს.

ბატონო ანზორ, როგორც ლეჩხუმელი მშრომელებისათვის ცნობილი გახდა, 6 ოქტომბერს გაიმართა საზოგადოება „ლეჩხუმის" დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც აირჩია საზოგადოების გამგეობა, ხოლო გამგეობის თავმჯდომარედ აგირჩიეს თქვენ. გილოცავთ ლეჩხუმელთა ამ დიდ ნდობას და გისურვებთ წარმატებებს როგორც სამსახურებრივ, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გთხოვთ თქვენი მოსაზრებანი გაუზიაროთ გაზეთ „ლეჩხუმის" მკითხველებს.

გმადლობთ მოლოცვისათვის მადლობას მოვახსენებ დიდი ნდობისთვის დამფუძნებელი ყრილობის მთელ შემადგენლობას. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ნდობა და პატივი გახლავთ. ამ ნდობას დაფასება და გამართლება უნდა. არ უნდა უმტყუნო იმედი ზენს მშობლიურ კუთხეს, შენს ხალხს. ვეცდები, გამგეობის სხვა წევრებთან ერთად, გარკვეული წვლილი შევიტანო ლეჩხუმის პრობლემების მოგვარებაში.

—როგორია საზოგადოების პროგრამა და თუ შეიძლება მოკლედ უამბოთ ჩვენი გაზეთის „ლეჩხუმის" მკითხველებს რას ითვალისწინებს იგი?

მართლაც ძალიან მოკლედ უნდა გიპასუხოთ. საზოგადოების უპირველესი ამოცანა გახლავთ რაიონის მშრომელთა აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით, რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთობლივი ძალისხმევით, გულდასმით შეისწავლოს ლეჩხუმის რეგიონის პრობლემები, რა უჭირს, რა ულხინს მხარეს, რა ღონისძიებების გატარება არის საჭირო, რომ ამაღლდეს სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური დონე, მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული რეზერვები ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით. პრობლემა აუარებელია: ეკოლოგია, რომელსაც ამწვავებს როგორც ბუნებრივი მოვლენები (მეწყერი, წყალდიდობა და სხვა), ასევე უგულო ადამიანთა უხეში გარეგანი ჩარევა (მაგალითად, ტყის განუკითხავი ჭრა, ჰესების კასკადების გაუმართლებელი მშენებლობა და სხვა), რაც უკვე უმძიმეს, უარყოფით შედეგებს ავლენს; კიდევ უარესია მოსალოდნელი პერსპექტივაში; გზები, ხიდები, ბუნებრივი გაზი, სამკურნალო, სასწაულო დაწესებულებები, საბავშვო ბაღები და მთელი რიგი სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხები, რომლებიც (ყველას ჩამოთვლა აქ შეუძლებელია) სერიოზულ ზრუნვას მოითხოვენ. საჭიროა შესწავლილი იქნეს ლეჩხუმის ბუნებრივი რესურსები, მათი ამოქმედების გზები და უპირველეს ყოვლისა მიღებული მოგების დიდი ნაწილის მოხმარება ადგილობრივი საჭიროებისათვის. ლეჩხუმის მშრომელებისათვის ალბათ უნდა ვეძებოთ პარტნიორები საზღვარგარეთაც. გვაქვს ისეთი უნიკალური სიმდიდრეები, რომლებიც შეიძლება ძალიან მომგებიანი და სასარგებლო გახდნენ მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში. მაგალითად, ბუნებრივი წყალი (რაჩხა), მინერალური წყლები, იშვიათი ხარისხის ღვინოები და მრავალი სხვა. გამოყენება უნდა ლეჩხუმის კლიმატურ და ბუნებრივ პირობებს საკურორტო-ტურისტული თვალსაზრისით. აქაც ვფიქრობთ, მივიპყრობთ საზღვარგარეთელი პარტნიორების ყურადღებას და ბევრი რამ, რასაც მეცნიერული შესწავლა და გაანგარიშება სჭირდება.

საზოგადოება „ლეჩხუმის" გამგეობა ფიქრობს მომავალში შექმნას თავისი რეგიონალური ორგანიზაციები. მაგალითად, აფხაზეთში, ბოლნისში, ქუთაისში, რა თქმა უნდა, თავად ლეჩხუმში, ვვარაუდობთ სოჩაშიც და ყველგან, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს ლეჩხუმელთა გარკვეული ნაწილი. ვფიქრობთ, უნდა მოვიძიოთ საზღვარგარეთ ცხოვრები ლეჩხუმელებიც.

—როგორ გესახებათ ლეჩხუმის ხვალინდელი დღე, მომავლის წლები, რა პერსპექტივები გაგვაჩნია ამ მხრივ?

ამ კითხვაზე პასუხი თითქმის მოგახსენეთ, მაგრამ მინდა გამოკვეთილად გავიმეორო, თუ ჩვენ მთელი მონდომებით და საქმისადმი სიყვარულით გავაერთიანებთ ძალებს და არ დავიზარებთ ლეჩხუმისათვის ზრუნვას, თუ ყველა ლეჩხუმელი, ლეჩხუმში თუ მის გარეთ მცხოვრები სიტყვიდან საქმეზე გადავა—შესანიშნავად მესახება ლეჩხუმის პერსპექტივა. ამ საქმეში, კიდევ ვიმეორებ, აქტიურად და მოქნილად უნდა გამოვიყენოთ ბუნებრივი პირობები, ახალი სახელმწიფო კანონები, უცხოეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობები. ლეჩხუმს ყველა პირობა აქვს, რათა ამ კუთხეში უახლოეს წლებში სერიოზული გარდატეხა მოხდეს სოციალური და კულტურული მშენებლობის თვალსაზრისით.

—თქვენ ძალიან დიდ საქმეს ხელმძღვანელობთ, ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებით, საინტერესოა როგორ შეუთავსებთ ერთმანეთს სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას და სამსახურებრივ საქმეს როგორ გამოიყენებთ ლეჩხუმის კეთილდღეობისათვის?

სიმართლე გითხრათ ძალიან მეშინოდა და მეშინია ამ ორი დიდი დატვირთვისა, ამიტომ ასეთი შიშიდან გამომდინარე თავს ვიკავებდი ამ საპატიო მოვალეობის დაკისრებისაგან, მაგრამ მეგობრებმა გადაჭრით, თუმცა თბილად, დამარწმუნეს ამის საჭიროებაში და როგორც ჩანს, უნდა მოვნახო და ავამოქმედო ჩემი დროისა და ენერგიის რეზერვები და არ უნდა მოვიჭრა ლეჩხუმს დაბრუნების გზა, უნდა შევძლო ნდობის გამართლება. რაც შეეხება სამსახურებრივ და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოყენებას ლეჩხუმის კეთილდღეობისათვის, ვფიქრობ, ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა მშვენივრად შემიწყობს ხელს ჩემს ამ ახალ მოღვაწეობაში. ამასთან იმედი მაქვს იმისა, რომ გამგეობაში შესანიშნავი ამხანაგებია თავმოყრილი (იქნებ არ იყოს ზედმეტი, თუ გაზეთი გამგეობის წევრთა შემადგენლობის და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას). მამხნევებს და მაიმედებს, რომ რაიონის საზოგადოებრიობა, ხელმძღვანელობა ძალიან კეთილი გაგებით და ინტერესით შეხვდა საზოგადოების შექმნას და ბოლოს დამფუძნებელი ყრილობის ჰქონოსი, ერთსულოვნება.

რა მიგაჩნიათ ლეჩხუმში მიგრაციის ძირითად მიზეზად და რით შეიძლება ვუწამლოთ მას?

მიზეზი ბევრია. უპირველეს ყოვლისა მკვეთრი განსხვავება ქალაქისა და რაიონის ცხოვრების დონეს შორის, ცხოვრების პირობები, მე ვიტყოდი, საკმაოდ მძიმე. სამწუხაროდ, შემუშავდა ტენდენცია, როცა დაიცლება ესა თუ ის რეგიონი, მერე დატრიალდებიან.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

ხილის რეზერვები არის

ლაჯანის რეგიონის მშრომელებმა კურკოვანი ხილი საგეგმო 360 ტონის ნაცვლად 399,7 ტონა მიიტანეს მიმღებ პუნქტებში. ახლა თესლოვანი ხილის დამზადება მიმდინარეობს. 462 ტონიდან, რაც დაგეგმილია, 212 ტონა უკვე დამზადებული აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევანი ჩვენ...

„ჩვენ მივაღწევთ მრავალპარტიულ არჩევნებს საქართველოში“!—რამდენჯერმე დაიქადა მერაბ კოსტავამ. ძალი შესწევდა ქადილისა. მართალია, მას აღარ დასცალდა, მაგრამ თანამებრძოლებმა აუხდინეს მისი სურვილი ქართველ ხალხს. და ვდგავართ ახლა ახდენილი მცირე ოცნებით უდიდესი მიზნის წინაშე, ვდგავართ ჩვენს სიცოცხლეში პირველი არჩევანის წინაშე.

საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 14 პოლიტიკურმა პარტიამ და ბლოკმა განაცხადა. დღეს უკვე 11 იერის კენჭს. მაგრამ ფაქტობრივად ჩვენ ერთი არჩევანი გვაქვს: ან კომუნისტური მმართველობა ან ეროვნული პარლამენტი, რომელიც შეძლებს ანექსიის შედეგების ლიკვიდაციას. ქართველმა ხალხმა ამ ეტაპზევე უნდა შეძლოს ისეთი პარლამენტის არჩევა, რომელიც განთავისუფლებს საქართველოს იმ მმართველობისაგან, რომელმაც გაყიდა და გაანადგურა სამშობლო, უდიდესი კულტურული ისტორიის მქონე ქვეყანა. უსასოობის, უსურსათობის, უზნეობის ჭაობში ჩაფლო. ხმის მიცემის დროს ყოველი ქართველი რჩება მხოლოდ საკუთარი სინდისის, სამშობლოს ბედის წინაშე და წყვეტს მის ბედს თუ უბედობას, ირჩევს ან თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს, ან დაპყრობილ, რუსული ბოლშევიზმის უღელდადგმულ ქვეყანას; ან სამართლებრივ, კანონით დაცულ, თავის მოქალაქეებზე მზრუნველ სახელმწიფოს, ან ხალხის კისერზე მჯდომ ბიუროკრატიულ და პარტოკრატიულ აპარატს; ან უკეთეს მომავალს, ან კარაქის, შაქრის, ბენზინის, პურის ტალონებს, უსამართლო მართლმსაჯულებას, ანარქიას, იქნებ სამოქალაქო ომსაც. ნუ ვენდობით იმ პარტიებს და იმ ადამიანებს, ვინც არჩევნების წინ იგებს ხალხის გულს იმით, რომ მაგალითად, „შეღავათებს“ აძლევს ვეტერანმეომრებს, ფაციფუცით აგებს ასფალტს სოფლის გზის 500 მეტრიან მონაკვეთზე, რასაც 3-4 წლის წინ პირდებოდა ხალხს, ახლა კი ერთ კვირაში შეძლო. დამთავრდება არჩევნები და დანაპირები საპნის ბუშტივით გაქრება. ვეტერანებს, პენსიონერებს კომუნისტური მმართველობა დააჯერებს ამ მცირე შეღავათებს, ხოლო წვიმიან ამინდში დაგებული ასფალტიანი გზა გაისად ახლად იქნება დასაგები. ჩვენი ცხოვრება კი გაგრძელდება ისეთივე დაპირებებით, როგორითაც გვკვებავდნენ ამ ხნის მანძილზე. უკვე აღარავის სჯერა „პერესტროიკის“ ილუზიებისა, ვერავითარი რეგულირებადი ბაზარი, ვერავითარი საბჭოური ეკონომიკური რეფორმა ოდნავადაც ვერ გაუმჯობესებს ჩვენს გამწარებულ ყოფას. ამიტომ ვისაც სურს ჰქონდეს მომავალი, ვინც ფიქრობს თავისი შვილებისა და შვილიშვილების ბედზე, ხმა მივცეთ საქართველოს თავისუფლებას, ხმა მივცეთ ეროვნულ ძალებს.

ხმა მივცეთ „თავისუფალ საქართველოს“.

ია ხმელიძე.

ᲓᲘᲜ ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲐ!

„ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲗ დიდი გული აქვს ქართველს!“—ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲐ ასე ესმის სასმენელს ჩვენსას; დღეს კი უფრო ძალუმად გვესმის დავით აღმაშენებლის დროინდელ ფართა ქღრიალი და გვჯერა, რომ კვლავ გავიმარჯვებთ.

უსაშველოდ დამგვანებია ურთიერთს მაშინდელი და დღევანდელი საქართველო; მაშინდელივით—ან უნდა გადავრჩეთ, ან უნდა დავიღუპოთ.. ხომ მოხდა გაუგონარი სასწაული—იძლია მტერი 1121 წლის 12 აგვისტოს, ეს იყო „ძლევაი საკვირველი,“ ახლაც უნდა დაიძლიოს მტერი—იმპერიული ურჩხული მთელი თავისი ნაირსახეობით და ეგ უნდა გახდეს მეორე „ძლევაი საკვირველი“ ქართველთა სულისა და ხასიათის გადამრჩენი. მონობისაგან თავდახსნილი საქართველოს დღე. ერთადერთი საამისო საშუალება ამჯერად ჩვენივე ხმაა, ის ხმა, რომელიც „თავისუფალ საქართველოს“ — მრგვალ მაგიდას უნდა მიეცეს. სხვანაირად აღარც ახალი დიდგორი გვექნება და ძველსაც დაგვავიწყებენ!

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველო დიდგორის ომში მიდის..

თქვენი გონიერებისა და სინდისის იმედზეა საქართველო, ამომრჩევლებო!

ლელა ლომთაძე.

მიმდინარეობს გზის შეკეთება





ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ №23 საგზაო სამმართველოს მშრომელებს საზრუნავს რა გამოულევთ. ჩვენი რელიეფურ-კლიმატური პირობების გამო გზა ხან სად საჭიროებს შეკეთებას და ხან სად.

ღვედის ტერიტორიაზე გასულ წლებში ჩამოსულმა მეწყერმა გზა სერიოზულად დააზიანა. მას აქეთ მიმდინარეობს გზის შეკეთება, რომ ცხენისწყალს თავისი გზა მისცენ, მეწყერს—თავისი. რთულია მონაკვეთის სამუშაო, იმდენად რთული, რომ წყალდიდობა თავისას არ იშლის და მეწყერი კიდევ ჯიუტად მოდის ზემოდან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: მიმდინარეობს წყლის ყალაპოტის გამწმენდი სამუშაოები და ბეტონის შპალების ჩაწყობა.

ზ. ᲒᲖᲝᲑᲐᲕᲐᲡ ფოტო.

„ᲘᲡ ᲨᲔᲜᲒᲐᲜ

„ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲡᲛᲔᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲛᲣᲚᲐ: „ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲣᲚᲔ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲨᲔᲜᲘ“. ᲛᲔ ᲙᲘ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲗ: ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲓᲐᲚᲝᲪᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲬᲧᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲫᲕᲔᲚᲛᲝᲥᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲗᲔᲗ ᲛᲝᲥᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲝᲪᲔᲗ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲒᲓᲔᲕᲜᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲖᲔᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲫᲔᲜᲘ“.

ᲛᲐᲗᲗᲔ 5.

დიაგონალით გაყოფილ მართკუთხედის ქვედა ნაწილში კაცია გამოსახული, მძიმე ტვირთისაგან წელში მოხრილი, ამ ტვირთს ორივე ხელით ჩაბღაუჭებია ალისფერი ფიგურა. ტვირთს სიმბოლურად მართკუთხედის დიაგონალსზედა ნაწილი გამოხატავს და სიმძიმე კუპრისფერითაა წაზგასმული. და ამის მიუხედავად სურათი აშკარად სახეიმო განწყობილებითაა აღსავსე, სულის ზეიმით. სიმძიმისაგან ლამის გასრესილი ადამიანის ფიგურა რაღაც მანქანებით მაინც წიწსწრაფვას განასახიერებს, ხოლო ოქროსფერი ნათელი, რომლის ფონზეცაა გამოსახული იგი, კიდევ ერთი სიმბოლოა, სიმბოლო იმისა, რომ სხეულის მძიმე ტვირთი სულს კი არ ამძიმებს, უბარის კიდეც...

ეს ემბლემაა, ხოლო დევიზი იოანე მახარებლის სიტყვებითაა გადმოცემული. **„რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“.**

* * *

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთას“ ქრისტიანული მსოფლხედვა უდევს საფუძვლად და მისი საქმიანობა მკვეთრად ქრისტიანული ხასიათისაა, მის პროგრამაში არის ასეთი დებულება:

„სავანეთას“ წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, სურვილი აქვს მოწოდებისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად მონაწილეობდეს „სავანეთას“ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში და აღიარებს „სავანეთას“ წესდებას“. დიახ მიუხედავად სარწმუნოებისა, ამ დებულებით „სავანეთა“ ხაზს უსვამს იმ იდეის საყოველთაობას, რომელსაც კაცობრიული სიყვარული ჰქვია. ამ იდეიდან გამომდინარე საზოგადოება თავის ძირითად ამოცანად სახავს: „მეურვეობდეს ობოლ და უპატრონო ბავშვებს, ზრუნავდეს მათზე; იყოს დაზარალებულ-დავრდომილთა, უპატრონოთა და მარტოხელა მოხუცთა, დედათა, ინვალიდთა, ობოლთა, მსჯავრდადებულთა (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის VIII კარის შესაბამისად), სასჯელმოხდილთა თანმდგომი, უწევდეს მათ მორალურ, მატერიალურ, სამართლებრივ და სხვა სახის დახმარებას. აზიაროს ბავშვები, მოზარდები და ახალგაზრდობა კაცობრიობის სულიერ ფასეულობებს, ქართული და მსოფლიო კულტურის შედევრებს, ჩაუნერგოს მათ მაღალი ადამიანური თვისებები საზოგადოებრივი, საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის, გაუღვიოს საუკეთესო ადამიანური თვისებები, განუვითაროს ორგანიზატორული ჩვევები და ინიციატივა; დაამკვიდროს ადამიანთა შორის ურთიერთობის კულტურა ჰუმანიზმის, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე; გამოავლინოს ნიჭიერი ადამიანები და მხარი დაუჭიროს მათს შემოქმედებითს ზრდას, საჭიროების შემთხვევაში გაგზავნოს ისინი „სავანეთას“ ხარჯზე საბჭოთა და უცხოეთის სასწავლებლებში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში“.

საზოგადოებას სულ ერთი წლის ისტორია აქვს, მაგრამ უკვე მოასწრო ზოგიერთი ამოცანის ხორცშესხმა, რითაც ნდობა და თანაგრძნობა დაიმსახურა. ჩვენ დროში კი ეს ძალზე ძნელია.

* * *

—„სავანეთას“ თბილისის საძმოში სულ 12 წევრია,—გვიამბობს საძმოს წინამძღვარი (სულიერი მოძღვარი) ბატონი ფარნავაზ მგელაძე,—მაგრამ თავისუფალი წევრები და მხარდამჭერები გაცილებით მეტი გვყავს. სწორედ მათი დახმარებით და თანადგომით მოვასერხეთ ამდენი ღონისძიებისა და აქციის ჩატარება ერთ წელიწადში: ნათლობა წყნეთის, დიღმისა და კოჯრის ბავშვთა სახლებში, რუსთავის სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (მოინათლა 218 ბავშვი), ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის მკვიდრთა მონახულება (ძეგვის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში 4-ჯერ იყვნენ, ავადმყოფებს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...არ გავუმჯობესებთ იმედი კუთხეს

(დასასრული).

სჯობია, რომ თავის დროზე თუ-ნდაც ნაკლები დავხარჯოთ, რა-თა დამაგრდეს ხალხი, თორემ წამოსულის დაბრუნება ძნელია. ძალიან ცუდი როლი ითამაშა თავის დროზე მიწის ფართობე-ბის და პირუტყვის სულადობის შეზღუდვამ გლეხური მეურნეო-ბისათვის, აგრეთვე სოფლის მე-ურნეობის პროდუქციის დაბალ-მა შესასყიდმა ფასებმა. ელემენ-ტარულ პირობებს ვერ ეუქმნით სოფლის ინტელიგენციას: პე-დაგოგებს, ექიმებს და სხვა. ახლა კი მეწყერი მოგვევლინა მიგრაციის მებაირახტრედ. ყვე-ლამ უნდა ვეცადოთ შემცირდეს გადასახლების აუცილებლობა, ხოლო ვინც აუცილებლად გადა-სახლდება, ხელი უნდა შეეუ-წყოთ— ფეხი არ ამოიკვეთოს ლეჩხუმიდან. სახლი თუ დაე-ნგრა და მარანი გადარჩა, არ უნდა წავართვათ მარანი და ეზო, მისი კუთხის სიყვა-რული. იქნება ამ სიყვარულმა შემოაბრუნოს წასული. დიდი საფიქრალია დემოგრაფიული პრობლემაც. ! მეცნიერულად შესწავლილი რეკომენდაციები უნდა დავნერგოთ, რომ ხელი შეეუწყოთ დემოგრაფიული მდგო-მარეობის გაუმჯობესებას.

—რას იტყოდით ქართველი ხალხის სურვილზე სუვერენუ-ლი, დამოუკიდებელი საქა-რთველოს შესახებ?

ერს, რომელსაც ეს სურვი-ლი ჩაუკვდება, მას დაღუპვა არ ასცდება, თავის თავისთვის განა-ჩენი გამოტანილი აქვს, ქართ-ველ კაცს ხშირად ჰქონია ისტო-რიულად ძნელი პერიოდები, ხში-რად დაუდევთ მისთვის ბორკი-ლიც, მაგრამ ვერასდროს მოახე-რხეს მისი სულის და გონები-სათვის ბორკილების დადება, ის ყოველთვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ მიილტ-ვოდა, ყოველთვის იცავდა თავის დამოუკიდებლობას და სუვერე-ნიტეტს, ოჯახისა და ქვეყნის სი-ნდის-ნამუსს, მათ ხელშეუხე-ბლობას. ამას ღაღადებს საქარ-თველოს დედა-ისტორია, ამის მოწმენი არიან მურის ხიდთან დღესაც ამაყად გადმომდგარი სამი ციხე, საქართველოს სხვა-დასხვა მხარეში დარაჯად მდგარი ციხე-კოშკები. დღეს არ არის ძალა, რომელსაც შეუძლია საქ-ართველოში ეროვნული მოძრაო-ბის აღორძინების შეჩერება, არ არის ძალა, რომელსაც შეუ-ძლია წინ აღუდგეს ქართველი ხალხის სურვილს, რომ საქართ-ველო იყოს ერთიანი, დემოკრა-ტიული, სუვერენული სახელმწ-იფო. მტკიცედ მწამს, რომ ეს უახლოესი პერიოდის მისაღწე-ვია, ვის რას უშლის ჩვენი დამ-ოუკიდებლობა. ღმერთი, რჯუ-ლი, ქართველი კაცი, მისი დამ-ოუკიდებელი სახელმწიფო არას-ოდეს არავის დამუქრებია, არა-ვის მიწაზე თვალი არ გაქცევია, ამიტომ მას ეკუთვნის დამოუკი-დებლობა და განგებამ უნდა გა-დმოხედოს ჩვენს ქვეყანას.

—ბატონო ანზორ, დამოუკი-დებელ საქართველოში როგორ გესახებათ კომპარტიის როლი და კომუნისტთა დემოკრატიული ნაწილის როლი მომავალ პარ-ლამენტში?

პირდაპირ უნდა ვთქვათ: კომუნისტური იდეებიდან და სახელმწიფოს მართვის კომპარტ-იის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მიმართულებიდან ბევრმა რამემ ვერ გაამართლა. გაიხსნა რკინის ფარდა ჩვენსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის და აშკარა გახდა, რომ საშინელი სიცრუით გვიტენიდ-ნენ თავს, ვცხოვრობდით თით-ქოს სამოთხეში და ვაშენებდით საამურ ქვეყანას, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი შიმშილით კვდებ-ოდნენ, გვეცვა შინნაკერი „ტელ-ოგრეიკები“ — და ქალამნები და გვეცოდებოდა „საწყალი“ ამერ-იკელები და ფრანგები. შევხე-დოთ და გავაანალიზოთ რა ცხოვრების დონეა კომუნისტურ კარელიაში და კაპიტალისტურ ფინეთში, შევხედოთ სამხრეთ კორეას, რომელიც თვით იაპო-ნიას უწევს მეტოქეობას და რა დონეა კომუნისტურ ჩრდილო კორეაში. აღარაფერს ვამბობ ჩვენი ქვეყნის საერთო დონის შესახებ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. ეტყობა კომუნისტურმა პარტიამ ძველი მეთოდებით ვერ შესძლო ამ უზარმაზარი, გიგანტური სახელ-მწიფოს ბედისა და მომავლის განსაზღვრა და გადაწყვეტა, მაგრამ იმედს მაძლევს ის მდგო-მარეობა, რომ პარტიის პროგრ-ესულმა, დემოკრატიულმა ძალე-ბმა დაინახეს რეალურად ქვეყ-ნის მდგომარეობა და მიმდინარ-ეობს დაძაბული მუშაობა კრიზ-ისიდან გამოსავალი გზების ძიე-ბისათვის. ანალოგიური მდგომ-არეობაა საქართველოს კომპარ-ტიაშიც. მიმაჩნია, რომ საქართ-ველოს კომპარტიას შესწევს უნარი თავის თავში იპოვოს ძალა—დაგმოს თავისი უხეში შეცდომები, ცალკეულ ლიდერთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედ-ებები, თავის საქმიანობით ბოდი-ში მოიხადოს ხალხის წინაშე და ღრმა ეროვნული პოზიციიდან გარდაიქმნას ერთ-ერთ აქტიურად მებრძოლ, თვისობრივად სრული-ად ახალ პარტიად და შეიტანოს საგრძნობი წვლილი საქართველ-ოს სახელმწიფოებრიობის აღდგ-ენის, მისი დამოუკიდებლობის მიღწევისა და აყვავების საქმეში. მე მიმაჩნია, რომ უდავოდ პროგრესულად, დადებითად უნ-და შეფასდეს საქართველოში მრავალპარტიულობა. ნუ შეგვა-შინებს ეს. დრო განსაზღვრავს და გამოკვეთავს პარტიების რაო-დენობას, მიმართულებას, რამდ-ენადაც სიმრავლე ხშირად ძალ-ების დაქსაქსვას იწვევს. ვთვლი, რომ დღეისათვის ყველაზე გამ-ოცდილი, ორგანიზებული, მატე-რიალურ-ტექნიკური საშუალებ-ებით უზრუნველყოფილი, რეგ-იონალური ორგანიზაციული სტრუქტურებით ჩამოყალიბებუ-ლი და საერთოდ რიცხობრივად-აც ყველაზე ძლიერი კომპარ-ტიაა. ამასთანავე რესპუბლიკისა თუ ქვეყნის გარე კავშირებით სხვა პარტიებთან და სახელმწიფ-ოებთან იგი ჯერ-ჯერობით ასევე ყველაზე გამოცდილია. საქართ-ველოს კომპარტიაში ხომ არაე-რთი მხურვალე ქართული გული და გონება ძგერს, მათ უნდა უპირველეს საზრუნავად გაიხ-დონ ეროვნული ინტერესები, საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი აღორძინება, აქ მცხოვრები ყველა ერის შეკავშირება. აქედან გამომდინარე, ეფიქრობ, მას შეუძლია და ვალდებული-ცაა ითაოს საქართველოს სახე-ლმწიფოებრივი დამოუკიდებლ-ობის აღდგენის მისია. ვიმეორებ, ამ ეტაპზე ამის გაკეთება ყველ-აზე უფრო კომპარტიას შეუძლ-ია. გონივრული იქნება ერის ინ-ტერესებიდან გამომდინარე, სხვა პარტიებმა და გაერთიანებებმა ხელი შეუწყონ მას ამ მისიის განხორციელებაში, რამეთუ კო-მპარტიის წინასაარჩევნო პრო-გრამას ვიცნობთ, ის მისაღებია და ამდენად თანადგომას იმსა-ხურებს.

შემდეგ რა იქნება? შემდეგ ნანატრი დემოკრატიზაცია. მრა-ვალპარტიულობა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

კომუნისტთა დემოკრატიული ნაწილი პარტიის რიგებში არც თუ ისე მცირეა, ძალზე ბევრია და მიმაჩნია, რომ ამ მძიმე მომ-ენტში ისინი კი არ უნდა გაი-ქცნენ (ზოგი ამას განსაკუთრე-ბული ზარ-ზეიმით აკეთებს). ამით გმირობად კი არ უნდა წარმოგვიდგინონ თავი, არამედ უნდა ეცადონ ჯერ კიდევ მძლა-ვრი პარტიის ძალა წარმართონ საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად. შემდეგ? შემდეგ მიმაჩნია, რომ კომპარტიამ უნდა მოახდინოს თვითლიკვიდაცია და მის რიგებში მყოფი საქართვე-ლოს მოწინავე ადამიანთა მძლა-ვრი რაზმით შექმნას სრულიად ახალი მიმართულებით პარტია, რომელიც იქნება ნამდვილად ხალხის ინტერესების გამომხატვ-ელი და მისი მომავლისათვის თავდადებული. მე ეჭვი არ მე-პარება, რომ ეს ასეც იქნება. ამისათვის გაქცევა კი არაა საჭირო პარტიიდან, არამედ მხარის დაჭერა და ბრძოლაა საჭირო, რომ სწორი მიმართულ-ებით წავიდეს ეს უზარმაზარი პოტენციალის მატარებელი ორგ-ანიზაციაც. ეს ალბათ ერთ-ერ-თი ლ. თუ ვერ ... ლას გვაქვს უფლება წავიდეთ იქედან, სადაც ჩვენ არ გვეთა-ნხმებიან და ჩვენ მათ არ ვეთანხმებით.

—თქვენ სკკპ წევრი ბრძანდე-ბით და არჩევნებში დეპუტატ-ობის კანდიდატად კომპარტიისა-გან ხართ პარტიული სიით წა-მოყენებული, როგორია კომპა-რტიისა და თქვენი შანსი არჩევ-ნებში გამარჯვებაში?

თქვენს კითხვაზე გიპასუ-ხებთ: მტკიცედ ვარ დარწმუნ-ებული, რომ ამ არჩევნებში კო-მპარტია გაიმარჯვებს. შანსი მას დიდი აქვს. ცოტა უფრო ნაკლ-ები შანსი მაქვს პირადად მე, რომ მომიწიოს დეპუტატობამ, სიაში ცოტა შორს ვარ, უფრო ახლოს ვერ მიგუეს სიის შემდ-გენლებმა. მაგრამ ეს ჩემს აქტი-ვობას ვერ შეანელებს. მე მინდა, რომ ამ არჩევნებში გაიმარჯვოს ჩვენი თაობის კომპარტიამ თავი-სი დღევანდელი მოქმედებით, ეროვნულობით, თავდადებით, ცოტნე დადიანისა და დიმიტრი თავდადებულის დონეზე აყვა-ნილი მამაცობით გამოისყიდოს შეცდომები და მოიშოროს ლაქა, რომელიც მემკვიდრეობით გვე-რგო, და რაც უახლოეს წლებ-შიაც დავუშვით. დღევანდელი და სახვალიო საქმით ნამუსიანად ვიყოთ და ვიცხოვროთ ჩვენი შვილების და შვილიშვილების, მთელი მომავალი თაობის გვე-რდით. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად მიმაჩნია პარლა-მენტში იყოს წარმომადგენლები სხვა პარტიებიდანაც. პარ-ლამენტი უნდა იყოს მრავალპარ-ტიული. დადგა ჟამი გამოჩნდეს ვინ ვინ არის. უნდა ვიყოთ აქ, სადაც ჩვენს ერს, ხალხს სჭირ-დება და ვემსახუროთ მათ იქ-იდან, სადაც ვდგევართ.

გმადლობთ ყურადღებისათვის, თქვენს გაზეთში ადგილის და-თმობისათვის. მე მინდა ჩემს ხალხს ვუსურვო ნათელი მომა-ვალი.

ელის ხსნას...“

დიკამენტები დაურიგეს, ტანსაც-მლით დააჩუქრეს), საავადმყო-ფოთა, ბავშვთა სახლების კურ-თხევა (№7 საავადმყოფო, ჟორდ-ანიას სახელობის გინეკოლოგიუ-რი და ადამიანის რეპროდუქც-იის კვლევითი ინსტიტუტი, თბი-ლისის ჩვილ ბავშვთა სახლი, მა-რტყოფის ბავშვთა სახლი, ტრა-ვმატოლოგიური საავადმყოფო, კასპის ბავშვთა ფსიქო-ნევროლ-ოგიური პანსიონატი), შრომა-განსწორების კოლონიების მონა-ხულება, ირანში მიწისძვრის შე-დეგად დაზარალებულთათვის მე-დიკამენტების, ტანსაცმლისა და კარვების გაგზავნა, ფერეიდნელ ქართველთა გამგზავრება ნათეს-ავთა მოსანახულებლად. საქველ-მოქმედო კონცერტები ბავშვთა სახლების ბინადართათვის, სხვა კულტურული ხასიათის აქციები. ჩვენი ყოველი სტუმრობა სიხარ-ულიან განცდებს იწვევს ბედი-საგან დაჩაგრულ ამ ადამიანებში. დღითიდღე ცხადი ხდება, როგ-ორ იმატებს რწმენა მათში, თან-აგრძნობა და თანალმობა ცხოვ-რებისკენ აბრუნებს მათ გამწა-რებულ სვე-ბედს. მახსოვს, გე-გუთში ჩვენი სტუმრობისას მთე-ლი ქალთა კოლონია ლოცულ-ობდა „მამაო ჩვენოს“, თბილ-ისის მე-7 საავადმყოფოს კურთხ-ევის დროს კი ასეთი რამ მოხ-და: ერთ-ერთ პალატაში ორჯერ-ნაინფარქტალი, სასიკვდილოდ გადადებული ასაკოვანი ქალი იწ-ვა, სითხე ჰქონდა დაგროვილი. როცა პალატაში ხატები ჩამოკ-იდეთ, ავადმყოფებს ლოცვანი დაურიგეთ, მანაც მოინდომა ლოცვა. სანთელი მიაწოდეს, ფე-ხზე წამოაყენეს. ორი დღის შე-მდეგ ავადმყოფს სითხემ დაუკ-ლო, 5 დღეში კი საავადმყოფო-დან გაეწერა. ექიმებმა ვერაფრით ახსნეს ეს „დაუჯერებელი“ ფაქ-ტი, არადა, ქალი გადაარჩინა იმან, რომ ირწმუნა ღვთის ძლი-ერება. (ნეტარ არიან მორწმუნე-ნი...). მსგავსი ფაქტები მრავალ-ჯერ მოხდა ჩვენს პრაქტიკაში.

—თურმე ყველას სურს თო-ფის სროლის გარეშე კეთილი საქმის კეთება,—განაგრძობს ჩემი მოსაუბრე, ადამიანებს ჰქონიათ სხვისი თანალმობის, ნუგეშისცემის, სხვისი ჭირის გა-ზიარების მოთხოვნილება. საქ-ველმოქმედო აქციებში აქტიურ-ად მონაწილეობს საზოგადოებრ-იობა, ცალკეული ადამიანები, საწარმოები, კოოპერატივები. ერთ მაგალითს დაგიასახელებთ, აგვისტის ბოლოს გეგუთის შრომა-გასწორების კოლონიაში ვიყავით. ინვალიდ გიორგი მაუ-სოიანს გადავეცით ინვალიდის სავარძელი, რომელიც მოქალაქე ამირან კიწმარიშვილმა შეიძინა. პატიმრებს დაურიგდათ სახარე-ბა, ლოცვანი, ხატები, ლაო ძის თხზულება „დაო დე ძინი“, მე-დიკამენტები. საერთოდ სიკეთე ძალიან გადამდებია, უფრო მე-ტად, ვიდრე ცუდი. ვისაც როგ-ორ შეუძლია ისე ცდილობს გა-ჭირვებულთა დახმარებას. სანთ-ლებს, ჯვრებს, ხატების რეპრო-დუქციებს, ლოცვანს გვწირავს სრულიად საქართველოს საპატ-რიარქო, მედიკამენტებით გვამა-რაგებს „საქბიოფარმპრეპარატ-ები“, ხოლო საჩუქრები, ტანსაც-მელი იქნება ეს, სათამაშოები, ტკბილეული თუ სხვა, თვითონ მიაქვთ საწარმო-ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, მოქალაქეებს. ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციას ვუ-კეთებთ და სულს ვუდგამთ აქც-იებს. ჯერჯერობით ჩვენთან ფუ-ლი არ ტრიალებს, გვირჩევნია კიდეც ფული არ გვქონდეს, ოღ-ონდ სუფთად და ხელშეუხებ-ლად ვიყოთ.

ბატონი ფარნავაზ მგელაძე სიამოვნებით გვიყვება ინვალიდ გოგონაზე ნათია იაღანაშვილზე, რომელსაც საზოგადოება „სავა-ნეთამ“ ყველთვიური მატერია-ლური დახმარება დაუნიშნა. საზ-ოგადოების წევრები ხშირად სტუმრობენ მასთან. ნათია უკ-ვე შემობრუნდა სიცოცხლისაკ-ენ, კეკლუცობს კიდეც.

ბატონმა ფარნავაზ მგელაძემ ერთგან აღნიშნა, რომ დღეს სუ-ლიერ შიმშილს განვიცდით, რომ ადამიანი აზროვნებაა და არა სხეული, ბევრს კი არ სურს ამის გაგება. ცალ-ცალკე ნაპერ-წკალი ყველას სულში ღვივის, მაგრამ სიბნელის დამარცხება ნაპერწკლით არ შეიძლება. ეს ნაპერწკლები უნდა შეერთდეს, რომ ალი წარმოიშვას. როგორმე უნდა მოვახერხოთ ამ ცეცხლის შეერთება. თავისუფალ ქვეყანას თავისუფალი ადამიანები სჭირდ-ება, და ჩვენც შიგნიდან უნდა გავთავისუფლდეთ. ქრისტემ თქვა, ერთ ლოყაში რომ ყაგა-რტყან, მეორე მიუშვირეო. მაგ-რამ, სამწუხაროდ, არავის სურს ყური უგდოს უფლის სიტყვას, და გარისკოს, მიუშვიროს მეორე ლოყა. არადა, სხვანაირად ძნე-ლია ეუშველოთ სულიერებისა-გან დაცლილ ადამიანებს.

მონოლოგით გატაცებული ჩე-მი მოსაუბრის სახეში არს რაღ-აც ფრესკისელი. მის თავზე ბევრ ჭირს გადაუვლია. ადრე მშენ-ებელი ინჟინერი ყოფილა, შემდეგ ცხოვრებამ მორწმუნე გახადა. (ერთხელ რომ იტყვი, ღმერთო მიშველეო, და გეშველება, მყო-რედ, მესამედ მერე თქვენც ირ-წმუნებთ). საპატრიარქოში მუშ-აობდა კარგა ხანს. მერე „სავან-ეთას“ იდეა გაჩნდა...

(დასასრული მე-4 გვერდზე)

„ის შენგან ელის ხსნას“

(დასასრული)

საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, უბრალო მიმნდობი, გულისხმიერი და კეთილი, მაგრამ ფარად ისეთი ადამიანებიც საჭიროა, რომელმაც ყველაფერი გადაიტანა, ე. წ. სხვა ცხოვრება გაიარა. ეს ფარი საჭიროა იმათ წინააღმდეგ, ვინც ანგარებითი მიზნებით დაპირებს საქველმოქმედო საზოგადოებაში შეძრომას. ახლა ასეთები ბევრი არიან, ისინი ახერხებენ მიეტმასნონ ეროვნულ მოძრაობას. დღეს ბევრი საზოგადოება და ასოციაცია დანაგვიანებულია ასეთი ადამიანებით და ბუნებრივია, მათი საქმიანობაც არ არის ნამდვილად ეროვნული. სულ რამდენიმე საქველმოქმედო საზოგადოება მისდევს ჭეშმარიტ გზას. „მეგზური“, „კათარზისი“...

„სავანეთა“—ეს თავად სიკეთეა. ჩვენ გვინდა ბოროტსაც დავეხმაროთ, რომ მასში სიკეთე დაისადგუროს. შტაბ-ბინად ახლობლის სარდაფი შევარჩიეთ, მოვაწყვეთ, და ახლა ჩვენთან იმისთვის მოდიან, რომ დამშვიდდნენ, სულის საზრდო მიიღონ.

ჩვენ გვინდა მთელი საქართველო მოიცვას „სავანეთამ“. ოკრიბაში უკვე შეიქმნა 5-6 კაციანი საძმო. ცაგერშიც ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ სული ჩაუდგან ამგვარ ორგანიზაციას.

საუბარი გაგვიგრძელდა. სიამოვნებით ვუსმენდი წინამძღვარს, რომლის სულიერებით დაღდასმულ, ყოველგვარ პათეტიკას მოკლებული სიტყვები უჩვეულო იყო ათას ცხოვრებისეულ სატკივარს შეჩვეული ყურისათვის. საუბრის ბოლოს ბატონ ფარნავაზს ვკითხე, რას ფიქრობდა გიორგი იონთა იბერიონის მტკიცებაზე, რომ დადგა ჟამი ლაზარეს აღდგინებისა, აი, რა ბრძანა მან:

—მე ვიცნობ გიორგი იონთა იბერიონს. ვიცი ამ იდეის შესახებ, მაგრამ არ მიმაჩნია სწორად, ხალხს ვახაროთ, რომ ლაზარე აღდგა. ეს გამოიწვევს ალეგორიულ განწყობილებას. ჩვენი ხალხის ამბავი რომ ვიცი, სიამოვნებით აღნიშნავენ ამას და ქართულ სუფრაზე გაჩნდება კიდევ ერთი სადღეგრძელო—გაუმარჯოს ლაზარეს, გაუმარჯოს სალვთო მისიით აღჭურვილ ქართველ ხალხს სადღეგრძელოები კი ვერ გადაგვარჩენს. იმისთვის, რომ საქართველოს ღვთიური მისია არ დაიკარგოს, ჩვენ უნდა ხელდაკაპიწებულმა ვი[illegible]ოთ ერთმანეთისთვის. როგორც ა[illegible] უნდა იყოს [illegible] კაცობრიობა, მას ყოველთვის სიკეთე [illegible]ებდა. დღეს კი ჩვენ ყველაზე უარესები და ჭუჭყიანები ვართ. ამიტომ ძალიან ბევრი და ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ სიყვარულსა და სიკეთეზე, დავეხმაროთ ერთმანეთს, გავულბოთ სული, დავუამოთ ტკივილი... ამით ჩვენ გადავარჩენთ კაცობრიობას, რომელიც ელის ხსნას ჩემგან, შენგან, ყველა ჩვენგანისაგან.

ი. გურამიშვილი.

ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს როგორი სირბილია სასარგებლო?

დილაობით სირბილის მოყვარულებს, ალბათ რამდენადმე გული გაუტყდებათ, როდესაც შეიტყობენ იაპონიაში გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომელიც ამტკიცებს, რომ სირბილი შეიძლება მხოლოდ საღამოობით. ხოლო აი „დილაობით ძუნძულით“ კი, მაგალითად, შეიძლება ნამდვილად ინფარქტი დაიმართო.

ასეთ დასკვნამდე მივიდა უნივერსიტეტ „კიორინის“ დოცენტი ძიუნ იტი ხაისი ასი, რომელიც რამდენიმე წელიწადს სწავლობდა ამ სახის ფიზიკური ვარჯიშის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, ერთმანეთს უჯერებდა გამოკვლეულთა ანალიზებს დილისა და საღამოს სირბილის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ პირველი ადიდებდა თრომბოზის ალბათობას, რამდენადაც სისხლის შედედება იზრდებოდა საშუალოდ 6 პროცენტით. საღამოობით ძუნძულით სირბილის დროს კი პირიქით 20 პროცენტით მცირდება თრომბოციტების რაოდენობა.

მრავალი წლის კვლევის შედეგები მეცნიერმა წარუდგინა საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციას სტოკჰოლმში.

ბოლო გაგორება და... „ოქროს კამათელი“

23-24 ოქტომბერს ქალაქის სპორტულ დარბაზში ჩატარდა პირველი რაიონული შეჯიბრება მოკლე ნარდში.

ეს ღონისძიება ერთგვარი გამოძახილი იყო ნარდში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პერიპეტიების კვალზე.

შეჯიბრების ინიციატორებმა—რაიონულმა სპორტკომიტეტმა, ახალგაზრდული კავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ, ნ. ფ. ს. ს. „შევარდენმა“ მიზნად დაისახეს ლეჩხუმში ამ საყვარელი თამაშის შემდგომი პოპულარიზაცია.

შეხვედრები ორ ჯგუფად, წრიული სისტემით წარიმართა.

ჯგუფური ტურნირებიდან I_II ადგილებზე გასულმა მონარდეებმა შექმნეს საუკეთესო ოთხეული, რომლებმაც ასევე წრიული სისტემით გაითამაშეს შეჯიბრების მთავარი პრიზი.

მთავარ შეხვედრაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ნარდში რაიონული პირველობის გამარჯვებულის ვინაობა, ერთმანეთს ეცილებოდნენ: ოთარ კონსტანტინეს ძე ყურაშვილი და მერაბ ყორას ძე ახვლედიანი.

ყველაფერი მესამე პარტიაში გადაწყდა, თანაც კამათლის ბოლო გაგორებაზე.

ალბათობა იმისა, რომ საჭირო წყვილი მოვიდოდა, ძალიან მცირე გახლდათ. შემსრულებელმა ერთ პროცენტიანი შანსი ხელიდან არ გაუშვა და ზუსტად ორი ექვსიანი დასვა („დუ შაში)“.

ეს იყო ნარდში პირველი რაიონული ჩემპიონატის ლოგიკური დასასრული.

თამაშის ამ სახეობაში რაიონის პირველ ჩემპიონს ოთარ ყურაშვილს გადაეცა სპორტკომიტეტის მთავარი პრიზი.

მეორე ადგილზე გამოსული მერაბ ახვლედიანი ნ. ფ. ს. ს. „შევარდენის“ მიერ დაწესებული პრიზით დაჯილდოვდა.

მესამე ადგილი წილად ხვდა ზაზა ხეცურიანს.

შეიქმნა ნარდის რაიონული ფედერაცია შვიდი კაცის შემადგენლობით.

მართალია ნარდში პირველ რაიონულ გათამაშებაში მხოლოდ 25 მოთამაშე იღებდა მონაწილეობას, მაგრამ საინტერესო, დაძაბულმა შეჯიბრებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ თამაშის ამ სახეობას ლეჩხუმში დიდი პერსპექტივები აქვს.

გვჯერა, რომ ნარდში საქართველოს მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში ჩვენი რაიონის წარმომადგენლებიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

მაშ ასე, რაიონში ოფიციალური სახე მიიღო ნარდმა. გზა დავულოცოთ და ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მონარდეებს.

გ. კვირიკაშვილი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

იზა ბიჭიკოს ასულ ხეცურიანს
ირაკლი ნიკოლოზის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ შეუღლებას, გაგევლოთ ბედნიერი ცხოვრების გზა, გემრავლებინოთ ქართველი ერი.

ნინო, ნატო, ლია, ზაური ახვლედიანები, ნანა, ზურა ხეცურიანები.

გილოცავთ

ბაზუცა ბაქრაძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. მრავალი და-ძმა შემატებოდეს. ღმერთმა ამრავლოს თქვენს ფუძეზე ძე-ასულები.

ოთარი, დოდო, მაყვალა, ციცინო ლიპარტელიანები.

ნათელა ყურაშვილს, გია ჭაბუკიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ღმერთმა გაგამრავლოთ.

თამაზ, ნუნუ, პიმენ ყურაშვილები, მანანა გობრონიძე, მანანა ყურაშვილი, გოგიტა საყვარელიძე.

რაისაბჭოს აღმასკომის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო და მიშა კვირკაშვილებს მაზლისა და ძმის **შალვა კვირკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ზურაბი, მამია დაშნიანები, ჯობო ბაკურაძე, მერაბ სვანიძე ოჯახებით იუწყებიან **დავით გერასიმეს ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას.

ცაგერის საშუალო სკოლის 1985 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ სპარტაკ კვირკაშვილს მამის **შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილის** გარდაცვალების გამო.

შამილ ლარცულიანი, გიგლა ლეთოდიანი, ლევან ბერიძე, სოზარ კვირიკაშვილი, თამაზ ჩაკვეტაძე, ვაჟა სალინაძე, გერმანე ნემსწვერიძე, მურადი მუკბანიანი, თამაზ, რამაზ კოპალიანები, მირზა ლიპარტელიანი, ზურა ჯამბურიძე თანაუგრძნობენ ჯონი და მაია ხალიანებს ბიძის **შალვა კვირიკაშვილის** გარდაცვალების გამო.

რაიკოოპერატივის სავაჭრო ქსელის მუშაკები თანაუგრძნობენ ნუცა მურცხვალაძეს მეუღლის **შალვა კვირიკაშვილის** გარდაცვალების გამო.

ბენია სილაგაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა **დადაში ლეთოდიანი.**

მეუღლე ნინა, შვილები გუგული, ნათელა, აზა, დალი, გურგენი, ზურაბი, თემური, ძმა გერონტი, სიძეები გივი, ზურაბი, ბადრი, რძლები მზია, რიმა, მერი, მარიამი, შვილიშვილები გია, ანზორი, ემზარი, თენგიზი, ნინო, ნატო, გოგი, ზური, გოგიტა, მამუკა, ზაზა, დათო, ზანდა, რამაზი, მალხაზი, ნინო, ნიკა, ნანა, ცოლისძმა ოთარ დავითულიანი, ცოლისდები ლიდა, საშა, კლავდია, ქვისლი აქვსენტი კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **გრიშა ბიქტორის ძე თუთისანი.** დაკრძალვა 1 ნოემბერს, ხუთშაბათს, სოფ. ჩქუმში.

რაიკოოპერატივის სავაჭრო ქსელის მუშაკები თანაუგრძნობენ ნანუშა მურცხვალაძეს დედის **მატრონა ონიანის** გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-84, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17. საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.